საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №62/ნ

2011 წლის 4 მაისი

ქ. თბილისი

,,ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და სერტიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 2 ივნისის №269 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ

,,ნორმატიული აქტების შესახებ"საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტისა და ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 21 მაისის №37 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ხ" ქვეპუნქტის საფუძველზე, **ვბრძანებ:**

მუხლი 1. ,,ერთიანი სახელმწიფო საგანმანათლებლო დოკუმენტებისა და სერტიფიკატების ფორმების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 2 ივნისის №269 ბრძანებაში (სსმ III, 10.06.2005 წ.,№69, მუხ.755) შეტანილ იქნეს შემდეგი სახის ცვლილებები:

ა) ბრძანების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი შემდეგი რედაქციით:

,,1. დამტკიცდეს ზოგადი და სახელობო განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების ფორმები დანართი №1-ის; დანართი №2-ის; დანართი №3-ის და დანართი №4-ის შესაბამისად;

ბ) დამტკიცდეს დანართი №1-ის; დანართი №2-ის; დანართი №3-ის და დანართი №4-ის შესაბამისად ზოგადი და სახელობო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების თანდართული ფორმები;

გ) ბრძანების მე -2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,2. დამტკიცდეს საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის დიპლომის დუბლიკატი დანართი №5^1-ის შესაბამისად;

დ) დამტკიცდეს დანართი №5^1-ის შესაბამისად საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის თანდართული ფორმა;

ე) ბრძანების 3^1; 3^2; და 3^3 პუნქტები ამოღებულ იქნეს;

ვ) ბრძანების მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,4. ამ ბრძანების პირველი და მე-2 პუნქტებით გათვალისწინებული დოკუმენტების აუცილებელი რაოდენობის განსაზღვრას, პოლიგრაფიული საწარმოების მეშვეობით მათ ტირაჟირებასა და გამოყენების კონტროლს ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო.

ზ) ბრძანების მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნეს;

თ) ბრძანებიდან ამოღებულ იქნეს №7-25 დანართები;

ი) ბრძანებით დამტკიცებული დანართი №6 ,,ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების – საბაზო ზოგადი განათლების, სრული ზოგადი განათლების, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატის, სახელობო განათლების სერტიფიკატისა და საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები" ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

დანართი №6

ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტების – საბაზო ზოგადი განათლების, სრული ზოგადი განათლების, ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატის, სახელობო განათლების სერტიფიკატისა და საშუალო პოფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატის მიმართ წაყენებული მოთხოვნები

1. უნდა დამზადდეს A4 ფორმატის წყლის ნიშნიან ქაღალდზე.
2. ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით.
3. უნდა შეიცავდეს სახელმწიფო გერბს და შუაგულში ორნამენტის კონტურს.
4. ყველა ხაზი უნდა იყოს შესრულებული მიკროშრიფტით უწყვეტი წარწერით.
5. დოკუმენტის სახიან მხარეზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი არანაკლებ 6-ნიშნა ციფრით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები – „სფს".
6. სერიისა და ნომრის გამოსახულება ულტრაიისფერი სხივების ქვეშ უნდა გამოსცემდეს ლუმინესცენციას.
7. საბაზო ზოგადი განათლებისა და სრული ზოგადი განათლების ატესტატები იბეჭდება წითელ ფერში, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატი იბეჭდება ლურჯ ფერში.
8. ტექსტი, გარდა სათაურებისა, საბაზო ზოგადი განათლების, სრული ზოგადი განათლების ატესტატების და ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატის იბეჭდება შავ ფერში. სათაურები საბაზო ზოგადი განათლებისა და სრული ზოგადი განათლების ატესტატების იბეჭდება წითელ ფერში, ხოლო ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატის იბეჭდება ლურჯ ფერში.
9. საბაზო ზოგადი განათლებისა და სრული ზოგადი განათლების ატესტატი იბეჭდება თეთრ ფონზე:

C:0 M:100 Y:100 K:0 ჩარჩო

C:0 M:31 Y:31 K:0 ჩარჩოს ფონი

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატი იბეჭდება თეთრ ფონზე

C:93 M:54 Y:6 K:0 ჩარჩო

10. სახელობო განათლების სერტიფიკატი და საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატი უნდა შეიცავდეს სახელმწიფო გერბს და შუაგულში ორნამენტის კონტურს.
11. **საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატი** /სახელობო განათლების სერტიფიკატი უნდა დამზადდეს წყლის ნიშნიან ქაღალდზე.
12. **საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატი** / სახელობო განათლების სერტიფიკატის ზედაპირი დაფარული უნდა იყოს დამცავი (გილოშერული) ბადით.
13. ყველა ხაზი **საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატში** /სახელობო განათლების სერტიფიკატში უნდა შესრულდეს მიკროშრიფტით უწყვეტი წარწერით.
14. **საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატ**ის / სახელობო განათლების სერტიფიკატის სახიან მხარეზე პოლიგრაფიული წესით აღნიშნული უნდა იყოს დამამზადებელი პოლიგრაფიული საწარმოს და დამკვეთის სახელწოდება ინიციალებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ მინიჭებული რეგისტრაციის ნომერი, სერია (ლათინური ასოებით) და ინდივიდუალური ნომერი არანაკლებ 6-ნიშნა ციფრით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინიციალები – „სფს".

15. **საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატი**/სახელობო განათლების სერტიფიკატი იბეჭდება თეთრ ფონზე შავ ფერში:

შავი 13% ჩარჩოს ფონი

შავი 60% ჩარჩო

16. ტექსტი იბეჭდება შავ ფერში.

მუხლი 2. ბრძანება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

დ. შაშკინი

დანართი №2

საქართველო GEORGIA

საბაზო ზოგადი განათლების ატესტატი

BASIC GENERAL EDUCATION DIPLOMA

სახელი: _____ გვარი: _____ დაბადების თარიღი: _____
რიცხვი / თვე / წელი

_____ წელს დაასრულა საბაზო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

_____

First Name: _____ Last Name: _____ Date of Birth: _____
Day / Month / Year

Completed basic general educational program in _____.

_____

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი /
Minister of Education and Science of Georgia _____

ბ.ა.
Stamp

დოკუმენტის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი / Registrar _____

AB № 000000

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

ნიმუში

დანართი №3

საქართველო GEORGIA

ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სერტიფიკატი

UPPER SECONDARY EDUCATION CERTIFICATE

ნიმუში

სახელი: _____ გვარი: _____ დაბადების თარიღი: _____
რიცხვი / თვე / წელი

_____ – _____ წლებში მოისმინა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა.

First Name: _____ Last Name: _____ Date of Birth: _____
Day / Month / Year

Attended secondary educational program in _____ – _____.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი /
Minister of Education and Science of Georgia _____

დოკუმენტის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი / Registrar _____

ბ.ა.
Stamp

AC № 000000

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

დანართი №4

საქართველო GEORGIA

სახელობო განათლების სერტიფიკატი

VOCATIONAL EDUCATION CERTIFICATE

ნიმუში

სახელი: ____________ გვარი: ____________ დაბადების თარიღი: ____________
რიცხვი / თვე / წელი

____________ წელს დაასრულა ____________.
პროგრამის დასახელება

მინიჭებული კვალიფიკაცია: ____________

____
საგანმანათლებლო დაწესებულება

First Name: ____________ Last Name: ____________ Date of Birth: ____________
Day / Month / Year

Completed ____________ in ____________.
Name of Program

Given Qualification: ____________
Qualification, Degree

____
Educational Institution

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი /
Minister of Education and Science of Georgia ____________

დოკუმენტის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი / Registrar ____________

ბ.ა.
Stamp

AD № 000000

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

დანართი № 5[1]

საქართველო GEORGIA

საშუალო პროფესიული განათლების დიპლომის დუბლიკატი

DUPLICATE OF VOCATIONAL SECONDARY EDUCATION DIPLOMA

სახელი: _____ გვარი: _____ დაბადების თარიღი: _____
(რიცხვი / თვე / წელი)

_____ წელს დასრულა _____.
(პროგრამის დასახელება)

მინიჭებული კვალიფიკაცია: _____

_____
(საგანმანათლებლო დაწესებულება)

First Name: _____ Last Name: _____ Date of Birth: _____
(Day / Month / Year)

Completed _____ in _____.
(Name of Program)

Given Qualification: _____
(Qualification, Degree)

_____
(Educational Institution)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი / Minister of Education and Science of Georgia _____

ბ.ა.
Stamp

დოკუმენტის შევსებაზე პასუხისმგებელი პირი / Registrar _____

AE № 000000

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

MINISTRY OF EDUCATION AND SCIENCE OF GEORGIA

ნიმუში